საქართველოს კანონი

„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 22.07.2020, სარეგისტრაციო კოდი: 240080000.05.001.019981) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ^{9}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{9}) სადამფუძნებლო დოკუმენტი – ერთობლივი საინვესტიციო ფონდის წესები ან საინვესტიციო კომპანიის სადამფუძნებლო შეთანხმება;“.

2. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^{1} პუნქტი:

„2^{1}. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება ერთობლივ საინვესტიციო ფონდზე.“.

3. მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) 3^{1} პუნქტი:

„3^{1}. ღია ან ინტერვალური საინვესტიციო კომპანიის განთავსებული კაპიტალი არის განთავსებული ერთეულების წმინდა ღირებულებათა ჯამი.“;

ბ) მე-5 პუნქტი:

„5. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საინვესტიციო კომპანიაზე. ღია ან ინტერვალურ საინვესტიციო კომპანიაზე არ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“–„გ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის, 153-ე და 154-ე მუხლების, 156-ე მუხლის მე-2–მე-4 პუნქტებისა და 163-ე–171-ე და 225-ე მუხლების მოქმედება.“.

4. მე-12 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქციათა რეესტრის წარმოების წესები არ ვრცელდება სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმის მქონე საინვესტიციო კომპანიაზე. ამ მუხლის მე-2–მე-6 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების სამართლებრივი ფორმის მქონე საინვესტიციო კომპანიაზე.“.

5. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სადამფუძნებლო დოკუმენტს (საინვესტიციო კომპანიის სადამფუძნებლო შეთანხმებას) მასში შეტანილი ცვლილებების (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით;“.

6. მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ლიცენზიის მაძიებლის სადამფუძნებლო შეთანხმება მასში შეტანილი ცვლილებების (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით;“.

7. 25-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საინვესტიციო ფონდის აქტივების მმართველ კომპანიაზე.“.

8. 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აქტივების მართვის უფლებამოსილების შეწყვეტა აქტივების მართვის შესახებ ხელშეკრულების, საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტის ან/და კანონის შესაბამისად;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

2 აგვისტო 2021 წ.

N897-Vრს-Xმპ